

არა მთავრობის განცხადება

მთავრობის თავმჯდომარე
ნ. ჯუღაშვილი

(25 მარტი, 1921 წ.)

ბათუმის დემონსტრაცია.

ამ ერთი კვირის წინეთ იყო ბათუმის დემონსტრაცია, ეს იყო ერთნაირი ბათუმის ეპოქა. აქედან შეიძლება ვინმე დაინახოს, რომ ჩვენ დღევანდელი პოლიტიკური კვანძი არის ბათუმის საკითხი. მაგრამ ეს არ არის მართალი.

ეს დემონსტრაცია ერთხელ კიდევ გვაჩვენებს ჩვენი ხალხის ერთობას ბათუმის საკითხში, მაგრამ ამ ვარემოვებამ არავის არ უნდა დაუჩრდილოს სინამდვილე.

ბევრი იყო უმეცურო იმით, რომ ბათუმში არ შეეძლო და ამბობდნენ: მთავრობამ ვერ შეასრულა მოვალეობა, ის ვინდამ უკან წაიხილა, მაგრამ უნდა ესთქვათ, რომ გლობალ ტაქტიკის ის, ვისაც მხოლოდ წინ წასვლა შეუძლია და უკან დაბრუნება კი არა. ტაქტიკის მოქნილობა იმაშია, რომ თავისი მოქმედება უნდა შეუფარდო ახალ პირობებს, დაგროვილ მდგომარეობას და ისე იმოქმედო. და რადგანაც ახალი მდგომარეობა იყო შექმნილი, ჩვენ ბათუმის საკითხს მერვე ხარისხიდან ალავი დაუთმეთ. როცა ბათუმისკენ მივდივართ, ჩვენ იმ დროს ვგონებდით, რომ ჩრდილოეთიდან გვიხლოვდებოდა ფრონტი, მაგრამ ვერ კიდევ შორს იყო ის. ახლა ეს ფრონტი უკვე ჩვენს საზღვრებთან არის.

ჩვენი დამოკიდებულება ბალშევიკებთან.

ჩვენ მათ, ბალშევიკების მოქმედებას არ ვიზიარებდით, მაგრამ ჩვენ დღიდან მათ შიერ ძალა-უფლების დაპყრობისა ვამბობდით, რომ ჩვენ ვართ წინააღმდეგი რუსეთის სამოქალაქო ომში ჩარევის და როცა ვერაზა მონასტისებს ემხრობოდა, ჩვენ ამას წინააღმდეგი ვიყავით და ამ დახმარებაში არავითარი მონაწილეობა არ მიგვალა. და თუ ახლა სამოქალაქო ომი რუსეთში გათავდება, და საბჭოთა რუსეთს ნორმალურ განვითარების საშუალება მიეცემა—ეს ჩვენთვის სასიამოვნოა და ეს ხარულ მოვლენა იქნება. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ როცა იქ შეუდგებიან ეკონომიური ცხოვრების მოწესრიგებას, მაშინ ბალშევიკებმა გააკეთებენ იმას, რაც ჩვენ ვეგეკეთებთ: სხვათაგან ისინი ვერ მოიქცევიან, სხვა გზა მათ არა აქვთ, თუ კი რასაკვირველია, მათ სურთ ძალა-უფლება შეინარჩუნონ.

ბალშევიკების დამოკიდებულება ჩვენთან.

პრინციპიალურად ბალშევიკები ცნობენ ერთი თვითგამორკვევას, მაგრამ პრაქტიკულად დღევანდლამდ ის მათი დამოკიდებულება ჩვენთან ისეთია, როგორც იყო მონასტისების მხრივ, როგორც მონასტისები არ გვეცნობდნენ, არც ბალშევიკებს აქვთ სურვილი გვიცნონ. თქვენ, ალბათ, აღვეხებდით თვალ-ყურს იმ ნოტებს, რომელთა გაცვლა მოხდა ჩვენსა და საბჭოთა მთავრობის შორის. თქვენ, ალბათ, გაცნობდით ჩაჩერინის უკანასკნელ ნოტას. მთელი ტონა, წერის მანერა პოლემიკურია. აქედან სჩნის, რომ მათ, როგორც წინეთ არ სურდათ მენშევიკებთან მეგობრული კავშირი დაეკავებინათ, არც დღეს სურთ. ამას თუ შევიღებთ მხედველობაში, მაშინ ბალშევიკების ფრონტი იცნოთის დიდთა საშუალო ფრონტია. თქვენ იცნოთ, რომ, როცა ბალშევიკებმა დენიკინს ებრძოდნენ, არმაყს მოუწოდებდნენ შავი გენერლების, ძელი რუსეთის მოტრფეალეთა წინააღმდეგ საბრძოლველად, დღეს, როდესაც დენიკინი აღარ არსებობს, მათ ასეთი მოწოდება არ გამოადგებათ. მათ უნდა მონახონ სხვა ლოზუნგი და ეს ლოზუნგი შეიძლება იყოს მხოლოდ ერთი—ლოზუნგი დაპყრობის, აშკარა იმპერიალისტური.

მაქსიმალიტური პაქიოლოგია.

ესლი, როცა ბალშევიკები მოვიხილოდნენ, ბევრი ფიქრობს—ბალშევიკების შიშით მოვეცემენ რასაც მოვიხიროთ; შეიქნა ერთნაირი მაქსიმალისტური ფსიხოლოგია ბალშევიკების გვიდენს ქვეშ. ბერს უნდა ირიალათ გაიყოს ჩვენს წინააღმდეგ ბალშევიკებს მონახლოვება და გადავადგმევიანოს მიუღებელი ნაბაჯები. მაგრამ, თუ ჩვენ გვექნება გარკვეული შესტელება საშინაო მუშაობაში, მაშინ უნდა ვაკეთოთ ის, რაც საქორაა, და ვადგეთ მუკაცე გზას, ვბრძოლოთ ანარქიულ ხელახვევებს და პოლიტიკას.

ჩვენი და ბალშევიკების ტაქტიკა.

როცა ამდღევან ბალშევიკები დიქტატურას, ამ უმცირესობის სურვილს, უპირატესობას? როცა ჩვენ ვაძლევთ უპირატესობას ხალხის უმრავლესობის სურვილს? აი ამაშია ჩაქსოვილი ჩვენი თეორიული განსხვავება. მათი აზრით, უმცირესობამ, თუ ძალა-უფლება ხელში ჩაიგდო, შეუძლია ახალი წყობილება დაამყაროს, თუნდაც ხალხი, უმრავლესობა, ამის წინააღმდეგი იყოს და რადგანაც მათ იციან, რომ ხალხის დიდი უმრავლესობა მათ წინააღმდეგია, ისინი სწორედ ამიტომ გაურბიან ხალხის უმრავლესობის ნებისყოფის გამოხატვულ ორგანოს და ცდილობენ ხიშტის საშუალებით უმრავლესობას თავზე მოახვიონ უმცირესობის სურვალი.

ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ ხალხის ყოფაცხოვრების ისტორიულად შეკვლა არ არის დამოკიდებული რომელიმე პირზე, ან ჯგუფზე, თუნდაც ის რევოლუციონური იყოს, არამედ—ის საგნებით დამოკიდებულია მატერიალურ პირობებზე. ეს მატერიალური პირობებია ჩაქსოვილია თვით ხალხში და მისში ბადებს ერთნაირ პოლიტიკურ და სოციალურ შემეცნებებს. ამიტომ, ჩვენ ვამბობთ, რომ როცა სახალხო საქმეს აკეთებთ, უნდა აქეთოთ ეს ხალხისავე საშუალებით. ხოლო რაც შეეხება რომელიმე წყობილების თავზე ძალათ მოხვევას, უნდა ითქვას გადაჭრით, რომ ეს ქეშაზე აგებული შენობაა. რუსეთის თვითმპყრობელობა 300 წელს ახვევდა რუსის ხალხს თვითმპყრობელობას, მაგრამ საბოლოოდ მაინც ვერ მოახვია. ამიტომ მე ვამბობ, რომ ცხოვრების გარდაქმნა უნდა მოხდეს ისევე ამ ხალხის საშუალებით, დემოკრატიული გზით.

გლენობა.

ჩვენ დავაპყრობთ პოლიტიკური ძალა-უფლება. ამის შექმნაში მონაწილეობას იღებდა ხალხის სხვა და სხვა ელემენტები. ჩვენში მუშათა კლასა დიდ უმცირესობას წარმოადგენს. დიდ უმრავლესობას წარმოადგენენ, წვრილი გლეხები. საზოგადოების ეს სტრუქტურა არ შეცვლილა რევოლუციის დროს, შეიძლება ახლა იცვლებოდეს, მაგრამ თუ გვინდა ჩვენი პოლიტიკური ძალა-უფლება, რომელიც ხელთა ვეჭქს, ავამუშაოთ ჩვენი პროგრამა, აუცილებლად უნდა შეუთანხმობთ ობიექტურ პირობებს. აუცილებლად ანგარიში უნდა გავუწიოთ ამ წვრილ მესაკუთრებს, გლეხებს. ქალაქი დღეს ვერავითარ ცვლილებას ვერ მოახდენს, თუ ეს გლეხობას, სოფელს არ სურს. მოსკოვში დღეს შემოიღო, რადგანაც გლეხები პუტის არ აძლევდნენ. თქვენ, ალბათ, წაიკითხავდით ვახუტაძეში, რომ გერმანიის საფრთხე მოეღის, თუ ორ კვირაში გლეხებმა პუტა არ მიაწოდეს ბერლინსო. საგნებით მართლდება მარქს ენგელსის აზრი, რომ რევოლუციის მაშინ გაიმარჯვებს, თუ მას ემხრობა ხალხის დიდი უმრავლესობა. თუ ეს უმრავლესობა გემხრობთ, გამარჯვებული ხართ, თუ ამ უმრავლესობის გამოეთიშეთ, დამარცხებული ხართ. ჩვენი ტაქტიკა ისეთი უნდა იყოს, რომ არც ჩვენს პროგრამას დაგვაშოროს და არც ხალხი მოგვაშოროს. არც ოპორტიუნისტული და არც ბლანკისტური, ანარქიული,—აი ჩვენი შეხედულება ტაქტიკაზე.

საჭიროა ახალი ნაწარმოების შექმნა.

ჩვენს ხანაში, როცა ძველი წარმოება დაშლილია, საქორა ახალი წარმოების, ახალი აპარატის შექმნა. ჩვენც ასეთ წარმოებას ვაირებთ. სახელმწიფო, ერობა, თემი, ქალაქი აარსებენ მრავალ ახალ საწარმოო დაწესებულებებს, აფართოებენ თავის მეურნეობას, ეწყვიან ალბე მიკემობას. აქ ისინი მასდევნ ხალხს საქორებებს და ამ საქორების მიხედვით ჰქმნიან ახალ საწარმოო დაწესებულებებს, ძველი, დანგრეულს ადგილას. კერძო კაპიტალი, რომელიც მხოლოდ მოგების მოსაზრებით ხელმძღვანელობს, ამას ვერ შეასრულებს. ახალი წარმოების შექმნა იძულებული ვართ ჩვენ ვიკისროთ.

ასეთი მოსაზრებით ვხელმძღვანელობთ ჩვენ, როცა ვაფართოებთ სახელმწიფო და კომუნალურ წარმოებას, ვაწყობთ სახელმწიფო მონოპოლიებს, ვაგროებთ სახელმწიფოს ხელში საექსპორტო საქორებს, ვაკისრებთ მას ვაჭრებსა და საქორებს მიმწოდებელის როლს. ამით ერთი მხრით ჩვენ ვწყვიტო კონკურენციას კერძო კაპიტალს, მეორე მხრით, ვზრდით საერთო სიმდიდრეს, რომელიც აქაბდ კერძო კაპიტალის ინციტაციით იქნებოდა.

რომ ჩვენში წვრილი წარმოება არ ბაზონოდეს, ჩვენს რომ იყოს მსხვილი წარმოება, მაშინ შევეძლებოდა მთელი წარმოება ხელში აგველო. მაგრამ ეს ასე არაა. და ამას უნდა დავუმატოთ, რომ ოპმა ის ცერე რიცხოვანი მსხვილი წარმოებაც გაანადგურა,

როცა წინეთ არსებობდა. ამიტომ ჩვენ იძულებული ვართ ასაირეზი მივკეთო კერძო ინციტაციასაც, რადგან ასეთ საღარიბის ხანაში, მხოლოდ ყოველგვარი შესაძლებლობის ამუშავებით შევძლებთ წარმოების დაცემას ბოლო მოვლათ. კერძო ინციტაცია, რომ მოველოთ, წარმოება სრულიად გადავარდება და ხალხი აუტანელ გასაჭირში და სიმშოლში ჩავარდება. ასევე დაგველოვებს საზოგადო წარმოებაზე ხელის აღება. ეს ორი ტაპი წარმოებისა ერთი მეორეს ავსებს. ასეთი ეკონომიური პოლიტიკა უნდა ვაწარმოოთ მანამ, სანამ ჩვენში წარმოება აყვავდება, სანამ სიმდიდრე საქორად დაგროვდება.

ნადავო სოციალიზმისათვის.

უნდა გადაჭრით განვაცხადო, რომ ჩვენ სოციალისტურ წყობილებას მანამ ვერ დავამყარებთ, სანამ ევროპაში არ იფეთქებს სოციალური რევოლუცია. ჩვენ თუ აქ მოვაწყვეთ საერთო, საზოგადო მეურნეობა, შევექნით მისი ორგანოები და სხ. მაშინ მზათ გვექნება ნადავო სოციალიზმისათვის. აი ასეთია გვემა და მიმართულება პოლიტიკურ და ეკონომიურ სფეროში, რომელსაც ჩვენ ვაწარმოებთ. ეს აზრი და შეხედულება ადვილი მისახედრი არ არის მისისათვის, რასაც ჩვენ ვამბობთ, ამას სჭირია დიდი დრო, მოთმენა. მოთმენას კი არ ვაძლევ „ობიექტურ“ მნიშვნელობას, არამედ, მოთმენას სოციალიზმისათვის. ის, რაც დღეს მუშას უჭირს—სანოვანო, ამას სახელმწიფო აწვდის იფათ და ამაში ხარალობს მილიონებს. ამ ყოველდღიურ სასურსათო პოლიტიკას ვაწარმოებთ და მას ვაერთებთ ჩვენ დიდ სოციალისტურ პოლიტიკას.

ნიკაგან სახ. საინისტროუნი
ნებართვა კერძო ავტომობილებისათვის.

კერძო ავტომობილების ტფილისიდან მცხეთისაკენ გასვლა შესაძლებელია ყოველ თითულ შემთხვევაში მხოლოდ შინაგან საქმეთა მინისტრის ნებართვით.

ლტოლველები.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ცნობა მიიღო ფოთიდან, რომ ფოთის ნავთსადგურში შემოსულა ორი გემი „ვოზროუდენი“ და „კიევი“ ლტოლველებით—ნოვოროსიიდან. მათ შორის უმთავრესად არიან ქალები, ბავშვები და ინვალიდები. მასთან წარმომადგენლები პოლონეთის, სომხეთის და საბერძნეთის საკონსულოებისა მოხალისეთა ტერიტორიაზე. ლტოლველებს არა აქვთ თან არავითარი სურსათი.

შუამდგომლობა.

სომხეთის დიპლომატიურ წარმომადგენელმა საქართველოში შუამდგომლობა აღძრა, რათა ნება დაერთოს ქალაქ ელისავეტპოლის სომხ მცხოვრებთ, რომელნიც აპირებენ გადასახლებას სომხეთში, საქართველოს ტერიტორიით სომხეთში ვამგზავრებისა.

შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგის მიერ ნება დაერთო მათ საქართველოს ტერიტორიით მგზავრობისა—მხოლოდ შეუხერებლათ და მალიციის მოხელეების თანხლებით.

ლტოლველები.

თანახმად სომხეთის დიპლომატიური წარმომადგენლის შუამდგომლობისა, შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგის მიერ ნება დაერთო ლტოლვილ სომხებს კავკავიდან საქართველოს ტერიტორიით სომხეთში გადაგზავრებისა იმ პირობით, რომ ისინი საქართველოს ტერიტორიაში არსად არ შეიხრდებიან და მგზავრობის დროს თან უნდა ახლდნენ მილიციის წარმომადგენლები.

შრომი, საინისტროუნი და ზღვა.

შრომის კომისარმა ელბაქიანმა მიმდინარე წლის 23 მარტიდან დაიზღვევა და ქალაქის საერთო კასთან შეაერთა თამაქის ქარხანა „ვაკშირა“ 1 და ქალაქის სასაკლაოსა და ფურნის მეშები.

მუშების და ღვინის საკითხი.

შრომის კომისარმა ელბაქიანმა აცნობა შრომის სამინისტროს, რომ წესდების მე-257-ე მუხლის ძალით, საქართველოს სატრანსპორტო-სააქიკონერო საზოგადოების „გარაჟა“-1 მუშებმა დაზღვეული იყვნენ ავთოკოფობისაგან და მიწერილი იყვნენ საერთო საქორების კასის. მარჯის პირებმა რიცხვებში ხსენებულ „გარაჟა“-1 მუშების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ისინი ავთომოფობის დროს არ ღებულობენ სექშიო დახმარებას და არ ითვლებიან საავთომოფო კასის წევრებათ.

მიუხედავთ კომისრის თანაშემწის გფრთხილებისა და ხსენებულ საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარის დაპირებისა, 23 მარტს მუშებმა განაცხადეს, რომ ეს პირობა შესრულებული არ არის.

23 მარტს ავტომობილების მთავარ სახელმწიფოს და სახელმწიფოს „გარაჟა“-ს დათვალეობის დროს შრომის კომისარმა აღმოაჩინა, რომ სახელმწიფო კანტორის მოსამსახურენი და დარაჯები არ არიან მაწერილი საერთო საქალაქო კასის. კასის სასარგებლოთა ვადასახდეს იხდიან და ეს ფულები შეტანილი არ არის კასში. რაც შეეხება სახელმწიფოს გარაჟის მუშების განცხადებას, დამტკიცდა, რომ დღემდე ისინი არ არიან მიწერილი საერთო საქალაქო კასის და არ ღებულობენ სექშიო დახმარებას.

შრომის კომისარი, აცხადებს რა ყოველივე ამას, სთხოვს შრომის სამინისტროს მიიღოს სათანადო ზომები, რათა საქართველოს სატრანსპორტო-სააქიკონერო საზოგადოების ადმინისტრაციამ დაკამათილოს მუშების კანონიერი მოთხოვნებიანი და დაცულ იქმნას მათი ინტერესება.

თათბირი.

2 აპრილს, 12-საათზე ტფილისის თამაქის ფაბრიკების მექანიკებისა და კანტორის მოსამსახურეთა დაზღვევის საკითხის გამოსარკვევით, შრომის კომისრის კამერაში შესდგება თათბირი.

ამის გამო შრომის კომისარი სთხოვს შემამაქეთა სექციისა და ფაბრიკა-ქარხნების საზოგადოებების თავმჯდომარეებს, ტფილისის საერთო საქალაქო კასის, თამაქიზე მომუშავე მექანიკებთა სექციისა და ფაბრიკის მოსამსახურეთა სექციების გამგეობებს გამოგზავნონ ხსენებულ თათბირზე თავიანთი წარმომადგენლები.

კოლმედიის გილისი ჩამოსვლა.

მარტის 30-ს ვარშავიდან კონსტანტინოპოლ-ბათუმის მარშრუტით იტალიელ გემ „ფრანც-ფერდინანდ“ზე ჩამოვიდა პოლონეთის რესპუბლიკის სპეციალური მისისია. მისიის დიპლომატიური ხასიათი აქვს და საქართველოს, სომხეთის და აზერბეიჯანის რესპუბლიკებთან დარჩება პოლონეთის მთავრობის წარმომადგენლად. მისიის სათავეში უდგას ტიტუს ფილიპოვიჩი ვარშავის პირველ კაბინეტის გარეშე საქმეთა მინისტრის ამხანაგი. მისიის შემადგენლობაში შედიან: საელჩოს გამგე-მრჩვეელი სიგ. სმოგორცესკი, საელჩოს მდივანი ვლად. დე-ბონდი, და კონსული ვიქტ. ბილორევესკი. მისისია დაბანადა სასტუმრო ორიანტში, ბ-ნი ტ. ფილიპოვიჩი კი პოლონეთის წარმომადგენლის შენობაში (პეტრე დიდის ქუჩა № 7). მარტის 31-ს მისიამ მთელი შემადგენლობით ინახულა მოკავშირეთა სამხედრო და დიპლომატიური მისისიები, საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე, დამუშავებულ კრების თავმჯდომარის ამხანაგი ექ. თაყაიშვილი. მისიამ დამუშავებულ კრების ქვეშეობის ხელმძღვანელობით დაათვალერა სასახლის შენობა.

სომხეთ-აღიკავიჯანის კომსულიკსი

სომხეთის გარეშე საქმეთა მინისტრის დებემა საქართველოს გარეშე საქ. მინისტრს.

ერევანი, 30 მარტი.

ამ ახლა მომავალში ქ. ტფილისში სამივე ამიერ კავკასიის რესპუბლიკების შეთანხმებით, უნდა შესდგეს კონფერენცია, რომელშიც უნდა გადაწყვიტოს ყველა სადამსაკითხები ხსენებულ რესპუბლიკათა შორის, აგრეთვე ტერიტორიალური საკითხებიც. მიუხედავ ამისა, ადერბეიჯანის მთავრობამ წარსულ წლის აგვისტოს 22-ის შეთანხმება დაარღვია და იარაღის საშუალებით გადასწყვიტა სომხეთის ყარაბახის და ზანგეზურის დაპყრობა. მარტის 21-ს ადერბეიჯანის მთავრობამ შეაგროვა რა შეიარღვებულ ბანდების ძალა, ყარაბახის სომხებს წაუყენა განიარაღების ულტრამატუნი. მცხოვრებმა დანახს ამაში 22 აგვისტოს ხელშეკრულების დარღვევა და მათი მოთხოვნისა უსამართლოდ ჩასთავლეს. ადერბეიჯანმა მიიღო თუ ირა თავის ულტიმატუმზე უარი, ძალით მომართვა სომხებს იარაღი და თავს დასხმა ყარაბახის და ზანგეზურის სომხეთა მოსახლეობას. უკანასკნელად მიღებულ ცნობით, ადერბეიჯანის რევოლუციური ჯარები და შეიარაღებული ბანდები მთელ ფრონტზე აწარმოებენ სასტიკ ბრძოლას და სომხეთის მშვიდობიან მცხოვრებლებს არავენ, ზხოცვენ და აწოკებენ. შუშაში ამოწყვეტილი მთელი მცხოვრებელი. ამ შეტაკების მიზანი-

ყარაბაღის და ზანგეზურის რაიონების ხელში ჩადგება. წინააღმდეგ მცხოვრებთა სურვილისა და მიუხედავად საზავო კონფედერაციის დადგენილებისა და ლორდ კერზონის უკანასკნელ დებულებისა ადერბეიჯანის მიხედვით თავისას საჩადის. ადერბეიჯანის მთავრობა, სომხეთის მშვიდობიან გზის მორიგების სურვილის წინააღმდეგ, კვლავ ამიერკავკასიაში ანთებს ცეცხლს, რომელსაც შეუძლიან საზღვრისწერი შედეგების მოტანა. ჩემი მთავრობის დავალებით და ამიერ-კავკასიის კეთილ დღეობისთვის და ყოველ გვარ საფრთხის თავიდან ასაშორებლად გთხოვთ თქვენის მხრით მოახდინოთ გავლენა ადერბეიჯანის მთავრობაზე, რათა მან დაუყოვნებლივ შეაჩეროს თავდასხმა ყარაბაღ-ზანგეზურზე და იარაღის საშუალებით არ გადასწყდეს ყარაბაღის საკითხი.

გარეშე საქმეთა მინისტრი **ხატივაჯი.**

უცხოეთი

იტალიის ახალი კაბინეტი

იტალიის ახალი კაბინეტის შემადგენლობაში შედიან: მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე და შინაგან საქმეთა მინისტრად დანიშნული ნიტტი; თავმჯდომარის ახანაგად და ხანაირად — ლუკატო; გარეშე საქმეთა მინისტრად — სკალია; ზღვათა — სკეპი; სამხედრო — ბონილი; ფინანსთა — მანტუა; იუსტიციის — გორტარა; მიწათმოქმედების — ვალსონი; ვაჭრობა-მრეწველობის და შრომის — ფერარისი, განათლების — ტორე; ფოსტა-ტელეგრაფის — ალესიო.

ინდოეთი და ოსმალეთი.

ინგლისის მთავრობის ნებართვით, ლონდონში გაემგზავრა ინდოეთის მესულმანების დელეგაცია — ინდოეთის მესულმანების ოსმალეთთან საკითხის გამოსარკვევად.

ვილსონი და ოსმალეთის საზავო ხელშეკრულების პროექტი.

გაზ. „ეხო-დე-პარი“-ს კორრესპონდენტის გადმოცემით, საფრანგეთის, ინგლისის და იტალიის ელჩებს მიუღიათ პრეზიდენტ ვილსონისგან კონსტრუქციები ოსმალეთის საზავო ხელშეკრულების პროექტის გასაცნობად და ზოგიერთ მუხლებს გამოსარკვევად.

ყარაბაღი.

(სომხეთის დიპლომატიურ მისიის საინფორმაციო ბიუროს ცნობა).

„აზერბეიჯანის მთავრობამ სომხეთს მოსახლეობას ყარაბაღში იარაღი აჰყარა. ამას მოჰყვა აზერბეიჯანის რევოლუციურ ჯარების, ბანდების და სომხეთის გლეხების შეტაკება. სომხეთს სოფლები აწიოკებულა, მცხოვრებლებს ხოცავენ და დიდი სასხლის ღვარი ტრიალებს. ერთ და იმავე დროს აზერბეიჯანის ჯარებმა შეტევა დაიწყეს ზანგეზურის რაიონში, რამდენიმე სოფელში, მაგრამ სომხეთსა ძალგმა უკუ აგდეს აზერბეიჯანის ჯარის ნაწილები. ზოგიერთი დაჟინებული ხმები, ვითომ ყარაბაღში ყოფილიყოს სომხეთს რევოლუციური ჯარები, სიმართლეს სრულიად არ შეეფერება. ბრძოლა გრძელდება. ამ ჟამად აზერბეიჯანის მთავრობის მერ ყარაბაღშია გადამოყვანილია შესამჩნევი სამხედრო ძალები.“

დეკრეტები

(საქ. დეპ. საავგენტოსგან)

ხანხედრო ცნობა დასავლეთის ფრონტი. ოკუპირებული რეგიონების მხარეში მდგომარეობა არ შეცვლილა. პოდოლიის კამპენის რაიონში ბრძოლა ადგილობრივი ხასიათისაა.

კავკასიის ფრონტი. წითელმა პარტიზანებმა გლადიკავკავი აიღეს. 31 მარტს ჩვენმა ჯარმა პეტროვსკი აიღო.

ალმა-სავლეოის ფრონტი. სერგიოპოლის რაიონში ჩუგუჩაის აღმოსავლეთით 40 ვერსზე ჩვენმა ჯარმა ადგილები დაიჭირა.

ამერიკული ცნობები.

ესენიდან იუწყებიან: ორშაბათს მთავრობის რაიონებში პერიოლანს, რომლებიც ქალაქის თავზე დაფრინდნენ, სროლა აუტეხეს, მაგრამ გვინათა, რომ ისინი უფლებით გადაჩვენ. ემჩნევა, რომ მცხოვრებლები კომუნისტებით უკმაყოფილონი არიან. ხალხთა საესე ქუჩებში წითელი გვარდის მიმართ სახვედრებია ისმოდა. ზოგი ყვიროდა: აი თქვენ უჩაოებო. დიუნსბურგში, სადაც კომუნისტებმა ბურგოისტრი დაპატიმრეს, ძველი მთავრობის აღდგენა მოითხოვეს.

კონსტანტინეპოლში ფიქრობენ, რომ სასერთაშორისო მშვიდობიანობისთვის ოსმალეთის ევროპიდან განდევნა ისეთი მნიშვნე-

ლოვანი არ არის, როგორც ევროპის ოსმალეთიდან განდევნა. ერთმა გამოჩენილმა ნეიტრალურმა პარტიზანმა დღეს: ქრისტიანული ქვეყნის დიდი ნაწილი, რომელიც ოსმალეთის საქმეებს ვერ იცნობს, ალბათ ფიქრობს, რომ მოწესრიგდება ბალკანეთის მთელი ორომტრალი და უზრუნველყოფილი იქნება საყოველთაო ზავი იმ შემთხვევაში, თუ ოსმალეთი განდევნილი იქნება კონსტანტინოპოლიდან. სურვილი შეიძლება ადვილად განხორციელდეს, მაგრამ თუ აზიის ოსმალეთი განაწილებული იქნება ბერძნებსა, იტალიელებსა, ფრანგებსა და ინგლისელ შოროს, როგორც ეს საზავო ხელშეკრულებით არის წინადადებული, მაშინ ყველა თურქთა ბალკანეთისკენ მიხედება. სტამბოლში დიდი დავა გრძელდება, იმის შესახებ თუ დროებითი ზავი, ანტატის სახელმწიფოები ოსმალეთთან ეხლა საომარ მდგომარეობაში იმყოფება. ანტატის ხელს უწყობს იმ ფიქციას, რომ იგი არ არსებობს, მაგრამ ბევრი ფიქრობს, რომ იგი უკვე არის, ან და იგი გამოცხადებული იქნება ამ ათ დღეში, რადგან ლონდონიდან მოსული ცნობა ბერძნების მიერ ოსმალთა დამონაგების ოსმალეთის მიერ ომის გამოცხადებათ ჩაითვლება. თურქები თითქმის ყველგან აღფრთოვანებით შეხედენ ბერძნებთან ომის შესაძლებლობის შესახებ გაკვირვებულ ამბავს, რადგან ისინი ეძებენ შემთხვევას, რომ სამაგიერო გადაუხადონ ბერძნებს სმირნაში ოსმალეთისადმი კული მოპყრობისათვის.

აზერბეიჯანის პროცესი.

ქენევიდან იუწყებიან: პოლინა რუდოლფოვა მიიღო მოწმობა ავიატორ-პოლიოტისა. ეს პირველი შვეიცარიელი მფრინავი ქალია.

სამხრეთ გერმანიის ვახუთების სწერენ კაპის ტროცკისა და ლენინის შეთქმულების შესახებ იმ მიზნით, რომ გერმანიაში გაეგრძელებოდა ბოლშევიზმი და ბერლინიში ხელთ ეგდოთ ძალაუფლება. სახელმწიფო გადატრიალებამდის ერთი კვირით ადრე მოხდა დიდი მნიშვნელოვანი კრება, რომელზედაც მონაწილეობა მიიღო სამმა ბოლშევიკმა ოფიცერმა, რომლებიც საუბრებით იყვნენ მოსკოვიდან გამოგზავნილი. რუსებმა სთხოვეს კაპს, რომ მას ძალა უფლებდა შენარჩუნებოდა ივლისამდის, რადგან რუსები ბოლშევიზმის დაპარტების შემდეგ ბერლინიში შევიდოდნენ.

გერმანიის პროცესი.

საფრანგეთსა და გერმანიის მთავრობათა მოლაპარაკებების გამო რუტის ოლქის შესახებ ჰავსის საავგენტო ვახუთებს შემდეგ ცნობებს აწვდის: გერმანიის საქმეთა რწმუნებული მაიერი სამშაბათს გაემგზავრა საფრანგო საქმეთა მინისტროში, სადაც მან მიიღიარა გადასაცვა გერმანიის მთავრობის დეკლარაცია. ამ დეკლარაციას გაუყვია მან ფორმალური შეწყვეტა. სხვათა შორის მან განაცხადა, რომ მალევე იქნება ცნობების თანახმად საეჭვო არის, რომ რუტის ოლქის ოკუპაცია ისეთ აუცილებლობას წარმოადგენს. მხოლოდ იმ შემთხვევაში შესაძლებელია რუტის ხეობის ოკუპაცია და საზავო ხელშეკრულების 44 მუხლის სათანადო დარღვევა, თუ გერმანიის მთავრობა გარანტიებს მოგვცემს. „პარიზი არ იქნება“ არკვევს ამ წრტას. გერმანიის ახალი კანცლერის გერმან მილერის განცხადების თანახმად უეცარმა და დიდმნიშვნელოვანმა მოვლენამ ბერლინის მთავრობის მოქმედება რუტის შეაშუქებია.

საფრანგეთმა უარი განაცხადა დაეჭირა ქალაქები დარმშტადტი, ფრანკფურტი და გაენაუ. ჩვენის ცნობით საქმე სხვანაირათ არის. ოკუპაციის გადადების ინიციატივა, მილერის მერ ჩამოთვლილ ქალაქების მიმართ, რომელსაც კიდევ უნდა მოვუმატოთ მეოთხე ქალაქი ჰამბურგიც იმ პირობით რომ, თუ განსაზღვრულ დროში გერმანიის მიერ ნეიტრალურ ზონაში შეყვანილი ჯარები არ იქნება გაყვანილი, საფრანგეთი ისარგებლებს თავისი უფლებით და ამ ქალაქებს დაიჭერს. ეკუთვნის თვით მილერს. მილიერსამა ამ წინადადებაზე უპასუხა, რომ პრინციპიალურათ იგი წინააღმდეგი არ არის ვადის გადადებისა, იმ შემთხვევაში, თუ ეს დიდხანს არ გაგრძელდება. ეს ყოველ შემთხვევაში არ არის, რაც მილერს სურდა. ჩვენ ფიქრობთ, რომ აქ საქმე იყო არა ორისა და სამ კვირაზე, არამედ რაღაც განუსაზღვრელ დროზე, რის გამოც მოლაპარაკებანი შესწყდა.

სხვა და სხვა

იურიდიულ კომისიის თავმჯდომარე აღჩუელია სერგო ჯაფარიძე. მის ახანაგად მ. რუსია.

ქართულ სამუსიკო საზოგადოებამ აღმოუჩინა დახმარება ქუთაისის განყოფილებას 50,000 მან.

დამფუძნებელ კრების თვითმართველ კომისიის დადგენილებით ტფილისის ქალაქის თვითმართველობას ათი წლის ვადით, მიმდინარე ხარჯების დასაფარავლ სესხად მიეცა 30,000,000 მან.

დრამატული საზოგადოების გამგებონს პრეზიდიუმი 31 მარტს წარუდგა 3-ნ მთავრობის თავმჯდომარეს და გაუკეთა მას მოხსენება ქართულ დრამის დღევანდელ უმწეო მდგომარეობის შესახებ. მთავრობას თავმჯდომარემ აღუთქვა პრეზიდიუმს დახმარება.

მიწათმოქმედების სამინისტრომ შეიძინა ფოთში 20 ვაგონი სათესლე ხორბალი. 10 ვაგონი გააგზავნა ტფილისში, 10 ბორჯომში.

31 მარტს, ევროპაში გაემგზავრა სახელმწიფო კანტროლიორი ფ. გ. გოგიჩაიშვილი, როგორც ეკონომიურ დელეგაციის წევრი.

სახელმწიფო კანტროლიორის თანამდებობის აღსრულებას შეუდგა მისი ამხანაგი კ. ე. ანდრონიკაშვილი, რომელიც მოხონებულ მხილებს ოთხშაბათობით და ხუთშაბათობით 12 საათიდან 1 საათამდე.

შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით დაიხურა გაზ. „აზნატორი“.

სოხუმის ქალაქის არჩევნებში № 1 მიიღო 636 ხმა, № 2 315 ხმა, № 3 87 ხმა, № 5 127 ხმა, № 8 24 ხმა, № 16 1 ხმა.

ტფილისში საგანგებო რამოსულ მოსკოვის სამხატვრო თეატრის მსახიობებმა განათლების სამინისტროს წინაშე აღძრეს საკითხი, რათა მათ უშეფონო ბინები. ვინათლების სამინისტრომ ვერ დააკმაყოფილა მსახიობების თხოვნა, ვინაიდან ქალაქში ამ ჟამად სრულიად არ მოიპოვება თავისუფალი ბინა.

ტფილისში ჩამოვიდა საზღვარ-გარეთიდან ცნობილი პუბლიცისტი და პოლიტიკური მოღვაწე მიხაკო წერეთელი.

მთავრობის დავალებით ამ დღეებში ევროპაში მიემგზავრება ინჟინერი კაუზნიშვილი.

შაბათს აპრილის 3-ს მეორე ქართულ კლბში იმართება ბელეტრისტიკა. ზარნოვის საიუბილეო საღამო. საღამო შესდგება სამ განყოფილებისგან: ვახ. კორტეიშვილი წიკითხავს ლექციას, 2) ვ. ზარნოვის ნაწარმოების კითხვა სცენაზე, 3) საკონცერტო განყოფილება. მონაწილეობენ: ცნობილი მომღერლები და პოეტები.

დამფუძნებელ კრებამ სიღნაღიდან მიიღო შემდეგი დეკრეტი: „სიღნაღის მაზრის, ანაგის და სხვა სოფლების მრავალ-რიცხოვანმა მიტინგმა მოისმინა აკაცი ჩხენკელის მოხსენება. კრება მიესალმება დამფუძნებელ კრებას. მის მთავრობას, უსურვებს ნაყოფიერ მუშაობას საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის გასაძლიერებლად.“ კრების ხელმძღვანელი ჯამბერძე.

შორაპნის მაზრიდან მიღებულია შემდეგი დეკრეტი: „შორაპნის მაზრის მეხუთე ყრილობამ მწუხარებით მოისმინა ანტანტის გადადწყვეტილება ბათუმის პორტო-ფრანკოდ გამოცხადების შესახებ, რაიც ძირის უთხრას საქართველოს დამოუკიდებლობას. ყრილობა იმდეს გამოსთქვამს რომ ქართველი ხალხი და მყარებული კულტურული ქვეყნების თანაგრძნობაზე შესძლებს ამ უსამართლობის გამოსწორებას“. ყრილობის თავმჯდომარე მოდებამე.

„კახეთის საზოგადოებამ“ თავის უკანასკნელ სხდომაზე გადასწყვიტა განსვენებულ კომპოზიტორ ნიკოლოზ სულხანიშვილის ნაწარმოების გამოცემა. ამავე საზოგადოებამ გორში მომხდარ მაწის ძვრისგან დახმარებულთა სასარგებლოდ გადასდო 180 ვედრო ლინო.

31 მარტს ქალაქის თვითმართველობაში შესდგა ტფილისის ეურნალისტების კრება. კრებას დაესწრო ორმოცამდე კაცი. კრება გაიხსნა საღამოს 7 საათზე. თავმჯდომარე აღჩუელი იქნა ო. ბუჭმუტინი. კრებაზე მოხსენება გააკეთა დ. მ. დუმბაძემ, რომელმაც აღნიშნა დღევანდელ ეურნალისტების მძიმე მდგომარეობა და შეუკავშირება. მოხსენების შემდეგ აღჩუეს საორგანიზაციო კომიტეტი. კომიტეტში შედიან შემდეგ პირნი: ახანაზაროვი, ბუჭმუტინი, ჯაფარიძე, დუმბაძე, კრემერი, კარტკოვი, ლოვი და სულთანოვი. კრებამ დაავალა კომიტეტს ერთი თვის განმავლობაში განიხილოს ეურნალისტთა კავშირის არსებული ეურნალი და შეუფარდოს ის თანამედროვე მოქმედების მოთხოვნილებას საზოგადო კრებას დახურვის შემდეგ შესდგა დროებითი ორგანიზაციის კომიტეტის პირველი სხდომა. არჩულ იქნა პრეზიდიუმი. თავმჯდომარე ბუჭმუტინი, მდივნად კარტკოვი და ხანაირად ახანაზაროვი.

საქართველოს აზრობის პარიზის მიხედვით.

პარიზი, მარტის 9. 1920. მას შემდეგ, რაც Messageries Maritimes და „Paquet“ საზოგადოებების გემებმა დაიწყეს მისკლა-მისკლა მარსელსა და ბათუმს შორის. ლიონისა და მარსელის აბრეშუმის მქსოველთა მექარბნეები ელიან საქართველოდან მშრალი პარკის შემოტანას მარსელში.

მარსელის ბირჯაზე უკვე დაიწყეს საქართველოს პარკის კორტიროვკა, თუმცა ჯერჯერობით ეს კორტიროვკა თითქმის ნომინალურია საქონლის უქონლობის გამო.

დღევანდელ ბირჯაზე საქართველოს მშრალი პარკის ფასმა ყოველივე რეკორდს გადაიჭარბა:

იქლევდენ: საქართველოს ყვითელი პარკისთვის: 88 ფრანკს ერთი კილოსთვის. საქართველოს თეთრი პარკისთვის: 80 ფრანკს ერთი კილოსთვის.

(ს. დ. ს.)

მეობა

ქუთაისის სამაზრო ერობაში.

უკანასკნელი დადგენილებანი: მიეცეს ნება ავგარულ რეფორმათა განყოფილებას დაუთმოს საყულის თემს ხსენებულ ფონდის ადგილიდან საჭირო რაოდენობა მიწისა.

დაიხვას სამაზრო ერობის ხმოსანთა ყრილობაზე საკითხი მასწავლებლებისათვის საექიმო დახმარების აღმოჩენის შესახებ. ამის შესახებ ეცნობოს მასწავლებელთა კავშირის ბალდათის განყოფილებას.

შესდგეს კომისია შემდეგი შემადგენლობით: კ. სულაქველიძე, ვ. ფალავანიშვილი, იონა მაჭავარიანი და მოწვეულ იქნას ქალაქის გამგებობისაგან ერთი წარმომადგენელი „ახალი ნაკადის“ საზ. ქარხნის დასათვალთვრებლად.

თანამშრომელთა პროფესიონალური კავშირის შუამდგომლობა, რათა ახლად გარდაცვალებულის ერობის თანამშრომლის არჩილ ბარათაშვილის შვილს მიეცეს ერობაში შესაფერი ადგილი, რადგანაც არჩილ ბარათაშვილის ვარდაცვალების შემდეგ მისი ოჯახი განიცდის უკიდურეს მატერიალურ სიღიწროეს.

მაზრის მალიციის უფროსის შუამდგომლობა, რათა მიეცეს დღიურები და აუნაზღაურდეს ხარჯები წარმოდგენილ საბუთების მიხედვით ვანის რაიონის კომისარს ფხაკაძეს, რომელიც გაწვეული იყო ტფილისში — ტფილისის ოლქის სასამართლოს საგანგებო საქმეთა გამომძიებელზე ჩვენების მისაცემით.

სოფ. დიდი ჯიხაიშის მცხოვრებნი ოქროპირ ეგნატეძე ძე ვაჭაიძის თხოვნა 2% საერობო გადასახადისგან განთავისუფლების შესახებ იმ შემთხვევაში, რომელიც აღნიშნულია გადასახადთა სიაზე № 40797, რადგანაც ეს შემოა მას არ აქვს.

თანხმად ვანის სათემო ერობის გამგეობის შუამდგომლობისა გაუდიდეს მოხონებულ ბინის ქირა და მიეცეს ნაკვალ ორის ორმოცდა ათი მანეთისა 1 მარტიდან თვიურად ოთხასი მანეთი.

ბალდათის თემის შუამდგომლობა მაზრობის მოწყობის შესახებ პარასკეობით დაკმაყოფილებულ იქნას. ასაგებ შენობების გეგმა უნდა წარმოადგინონ სამაზრო ერობაში დასამტკიცებლად.

დავალოს თემების ინსტრუქტორობა მაზრის სკოლების ინსტრუქტორებს და მიემატოს მათ ეხლანდელ ჯამაგირზე თვითველს თვიურად 1.300 მანეთი.

გაიხსნეს ქალ. ტფილისში ქუთაისის სამაზრო ერობის წარმომადგენლობა ადგილობრივ სახელმწიფოთა და საზოგადოებრივ დაწესებულებებზე ქუთაისის სამაზრო ერობის საქმეების მოსაგვარებლად; გადაიდოს ამ საქმისთვის ყოველ თვიურად ათი ათასი მანეთი; შტატი დაარსდეს ერთი რწმუნებულის თვიური ჯამაგირით ექვსი ათასი მანეთით და ერთი მოხელის მასთან თვიური ჯამაგირი ოთხი ათასი მანეთით.

რწმუნებულად მოწვეულ იქნას დამფუძნებელ კრების წევრი გრიგოლ ურატაძე და მოხელის დანიშვნა დავალოს მას. ხსენებულ ჯამაგირი რწმუნებულს გრიგოლ ურატაძეს დაენიშნოს ამა წლის 15 მარტიდან: ეცნობოს მას ამის შესახებ, აიყვანოს მოხელე რომლის ვინაობა აცნობოს გამგეობას იმის აღნიშვნით, თუ რომელ რიცხვიდან იქნა ის მიწვეული სამსახურში და ამ რიცხვიდან დაენიშნოს მას მოხსენიებული ჯამაგირი (4.000 მ.).

საქართველოს ტენიკური საზოგადოება

მე მარტს შესდგა საქართველოს ტენიკური საზოგადოების კრება, რომელზედაც მოსმენილ იქნა ქ. მ. შალამბერიძის მოხსენება ფხვნილი ნახშირის გამოყენების შესახებ. სათბობი მასალის საკითხი ყოველთვის და მით უმეტეს ესხლა, როდესაც ომში აღარებელი მასალა შთანთქმავს და ამასთანავე ქვა-ნახშირის დამუშავების „ავანაჯღურ“ საშუალებათა გამოყენების გამო მალარობები ტენიკურად ცუდ პირობებში ჩააყენა, — მეტად მწვავე საკითხად გადაიქცა. შეიძლება ითქვას, რომ სათბობი მასალა დღეს ბევრ სახელმწიფოსათვის ყოფნა-არყოფნის საკითხს წარმოადგენს და მთელ კულტურულ კაცობრიობას მოსვენებას არ აძლევს.

მისი უზომო საჭიროებამ წამოაყენა მთელი თავისი სიგრძე-სივანით „თეთრი ნახშირის“ საკითხიც ყველგან, სადაც კი მისი გამოყენება ოდნავ მაინც შესაძლებელია. მაგრამ, ვინაიდან უკანასკნელის მოვარება საკმაოდ რთულ საქმეს წარმოადგენს, დიდ მოწყობილობებს და ხარჯებს მოითხოვს, „შავი ნახშირი“, როგორც ენერჯის წარმოშობის მასალა, მაინც დიდ პატივისცემაში არის.

საქართველო, რომელიც მოკლებულია საკუთარ ნავთს და რომლისთვისაც მდინარეთა და ჩანჩქერთა ენერჯის გამოყენება მოკლე დროში მაინც არც ისე ადვილი საქმეა, უნდა შეეცადოს რაციონალურად მოიხმაროს ის ქვა-ნახშირი, რომელიც ბლომად მოიპოვება ტყიბულის და ტყვარჩელის ბუდეებში. რომ ეს მანძი დიდ ღირებულებას წარმოადგენს იქიდანაც-კი სწინს, რომ უცხო სახელმწიფოებში იგი უფრო ძვირად და ინტერესებული არიან მათი გამოყენებით.

მომხსენებელი შეგხო ფხვნილი ნახშირს, რომელსაც ჩვენში მოხმარება არა აქვს; მაგრამ, ვინაიდან სათბობი მასალის საკითხი მეტად მწვავე და მნიშვნელოვანია, აზრთა გაცვლა-გამოცვლის დროს, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ინჟინრებმა: სარაჯიშვილმა, მექანიკოსმა, ბრაილოვსკიმ, კირკისალიშვილმა, სახელაშვილმა, კაკაბაძემ და სხვ., მსჯელობის საგანი გაფართოვდა, ის საზოგადოდ საქართველოს სათბობი მასალის უტილიზაციის საკითხად გადაიქცა და ერთ სხდომაზე ვერ ამოიწურა.

რადგან სათბობი მასალის საკითხის მიზანშეწონილად გადაჭრას და მოვარებას საქართველოსთვის უადრესი მნიშვნელობა აქვს, ვადაწყვედა ამ საქმის ყოველმხრივ შესწავლა და გამოკვლევა.

სხდომის გაგრძელება დანიშნულია დღეს, 2 აპრილს, საღამოს 7 საათზე (ეროვნულ ყოფილ ფაქტორის ქ., № 11), რომელსაც შეუძლია დაესწრონ როგორც ტენიკური საზოგადოების წევრნი, ისე ამ საკითხით ყველა დაინტერესებული პირი.

ხელოვნება.

მ. ნანობაშვილის გახტროლი.

ორშაბათს მარტის 29-ს სახელმწიფო თეატრში შესდგა მ. ნანობაშვილის (მიშელ დარიალის) პირველი გახტროლი მასსენს ოპერა „ვერტერში“. მომღერალმა ძალიან კარგი შთაბეჭდილება დასტოვა მაყურებელზე. ნანობაშვილი მღერის თრანსპარენტურ ხმად მშვენიერად აქვს. ეტყობა კარგი სკოლა. ინტელიგენტი-არტიტი. ეტყობა ვერტერის პარტია კარგად აქვს შეგუწავილი. ყველა სცენებს ერთნაირი ექსპრესიით ვადმოგვცემდა. პარასკევს მეორე გახტროლია მისი. მომღერალი გამოავა რაულის პარტიაში ოპერა „ჰუგენოტები“.

მოსკოვის სამხატვრო თეატრის დახმ.

მოსკოვის სამხატვრო თეატრის დახმ. იმყოფებიან შემდეგი მსახიობნი: კიალოვი, კნიპისი, ლეონილოვი, მასხალიტინოვი, გერმანოვა და სხვა. მათი გასტროლები დაიწყება ალდგომის მეოთხე დღეს. პირველად დაიდგება ჩეხოვის პიესა „ალუბლის ბაღი“. შემდეგ განხილულია ვორკის, ტურგენიის პიესების დადგმა. სამხატვრო თეატრის დასი ტფილისში დარჩება ერთი თვე და წარმოდგენები გაიმართება სახელმწიფო თეატრში. მათ დიდ დახმარებას უწევს სახელმწიფო თეატრის კომისარია დ. უწყებამ.

ქართული წარმოდგენა. კვირის აპრილის 4-ს ნ. ჩხეიძის მონაწილეობით არტისტიულ თეატრში იდგმება „მედი“

გ ა ნ ც ხ ა ლ მ ბ ა ნ ი

სახლები

მამულები, ავარაკები, ნავთის საწარმოო და ზღვის პირას მდებარე მიწის ნაკვეთები, ტფილისში და მთელ კავკასიაში, საწარმოო და სავაჭრო დაწესებულებანი, ქარხნები, ფაბრიკები და სხვა ღირებულებანი შეიძლება სასწრაფოდ და ხელსაყრელ პირობებში შეიძინოთ და გაყიდოთ „ინტელიგენტთა ჯგუფის“ საშუალებით, რომელსაც აქვს საუკეთესო მოწყობილი კლიენტურა „დიდი მოთხოვნილება და მიწოდება“. დავითის ქუჩა, № 3. ბინა 2. ტელეფონი 2-28. ტფილისის და ქალაქთაშორის. 11-2 საათი, დღით და 5-7 საღამოთი. 587 1-1

დაიკარგა ოთხი სულის სასურსათო წიგნაკი №10782 ივანე ნიკოლოზის ძე იჩიკტის სახელზე, გაუქმებულია ჩაითვალოს. 618 3-1

გვევნი მარგორას ასული ანდრონიანი აცხადებს, რომ მის მიერ ბაღდასარ მიკიტჩის ძე ქეორაღლიზე გაცემული მინდობილობა № 3494, დამტკიცებული ნოტარიუსი კარაკაშის მიერ 1919 წ. 4 დეკემბერს, გაუქმებულია ითვლება 1920 წ. 1 აპრილიდან. 619 1-1

სიმონ ირაკლის ძე ბერიძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან მიღებული 1920 წ. გაუქმებულია ჩაითვალოს. 620 3-1

დაიკარგა საშანაო დავთარი ეკატერინე იაგორას ასული მამაცოვის სახლის, რომელიც მდებარეობს ზორა ბაშის ქუჩაზე № 21. გაუქმებულია ჩაითვალოს. 623 3-1

სერგო ვასილის ძე ბაზაზოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი, მიღებული ამიერ-კავკასიის გზათა სამინისტროდან 1918 წ. გაუქმებულია ჩაითვალოს. 621 3-1

ელენე ნიკოლოზის ასული ოვანჯანოვისა აცხადებს, რომ დაიკარგა ნასყიდობის სიგელი, შედგენილი 1906 წ. 17 მაის სიღნაღის ნოტარიუსის ჯავახიძის მიერ და დამტკიცებული ტფ. ოლქ. სასამართ. უფროსი ნოტარიუსის მიერ რეესტრით № 1051. ამოვე მართლის პლანი № 33099, გაუქმებულია ჩაითვალოს. 622 3-1

ქალაქ ქუთაისის მეხუთე უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულ ვლადიმ. ნიკოლოზის ძე მიხაილოვის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება მიხაილოვის უძრავ-ძირავე ქონებაზე სპ. კან. კრებ. მე-1241 მუხ. აღნიშნულ ვადაში. 0270 4-1

გეორგ მიკირტიჩის ძე არუთინიანი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა თავისი, ცოლის ტაქინის და შვილის შუშანიკას პასპორტი. გაუქმებულია ჩაითვალოს. (უ) 3-1

ქ. ტფილისის მე-18 უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულ ალექსანდრე ზაქარაიას ძე კოკლაშვილის მემკვიდრეებს, რათა მათ აღიარონ თავისი უფლება კოკლაშვილის სიკვდილის შემდეგ დარჩენილ ქონებაზე 1241 მუხ. სპ. კან. კრებ. აღნიშნულ ვადაში.

ქ. ტფილისის მე-18 უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულ ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე კოკლაშვილის მემკვიდრეებს, რათა მათ აღიარონ თავისი უფლება კოკლაშვილის სიკვდილის შემდეგ დარჩენილ ქონებაზე 1241 მუხ. სპ. კან. კრებ. აღნიშნულ ვადაში. 604 1-1

სიმონ გიორგის ბაქრაძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა მოწმობა მიცემული სამხედრო მარტის აღრიცხვის უფროსის მიერ № 129 შესახებ ვადის გადადების გაუქმებულია ჩაითვალოს. 273 3-2

ისონ ვლადიმერის ძე აბაშიძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ცოლის მიწოდება ეგვიპტის ვაცელარიიდან 10 იანვარს 1917 წ. № 412, პასპორტი მოცემული ქუთაისის სათავად-აზნაურთა დეპუტატების კრებიდან 1915 წ. სექტემბერში, სამსახურის სია, მოცემული მთავარ კომიტეტიდან რუსეთის ქალაქის და ერობების კავშირიდან მისი რევიზიით ყოფნისა, კავკასიის ფრონტის საინჟინერო-ამუნეციონული დრუჟინებისა. გაუქმებულია ჩაითვალოს. 274 3-2

დარეჯანა სიმონის ასული ცინცაძისა აცხადებს, რომ მან დაჰკარგა სახელმწიფო უნივერსიტეტიდან მიღებული სალექციო წიგნაკი № 1835. გაუქმებულია ჩაითვალოს. 596 3-3

სტუდენტი ივანე სპირიდონის ძე კანდელაკი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა სახელმწიფო უნივერსიტეტიდან მიღებული მატრიკული № 940. გაუქმებულია ჩაითვალოს. 588 3-3

ჯაფარ სადიკ უშბათ ზადე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა სიმწიფის ატესტატი, მიღებული ტფ. მეხუთე გიმნაზიიდან და მეტრიკული მოწმობა, მიღებული ტფ. შიიტების სამმართველოდან. გაუქმებულია ჩაითვალოს. 593 3-3

გიორგი ნიკოლოზის ძე ბაქრაძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა წიგნაკი № 61 მოცემული ტფილისის სამაზრო ერობის მოსამსახურეთა კავშირის საწყობიდან. გაუქმებულია ჩაითვალოს. 592 3-3

კონსტანტინე თედორეს ძე ვაბისოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პირადობის მოწმობა, ტრამვაზე უფასო მგზაურობის. გაუქმებულია ჩაითვალოს. 595 3-3

დაკარგულია ნასყიდობის სიგელი შესაძენად 1909 ან 1910 წელში გრიგორი ვასილის ძე დანილოვისაგან ხაზინიდან სახაზინო მემულების და იჯარით გასაცემ ადგილების შეთავაზურის სახით ბათუმის ოლქის მე-7 რაიონისა ლიპინსკისაგან სახაზინო მიწის ნაწილის, რომელიც შესდგება „ზელიონი მიწის“ („ЗЕЛЕННИЙ МЯС“) მდებარეობაში მიხინჯაურის ავარაკში კინტრიშკის ნაწილში ბათუმის ოლქის და ეს ნასყიდობის წერილი ჩანიშნულია გვიმით № 9, მობეგრე წიგნში № 2/42, 2271 კვ. საენის სივრცით, შედგება ბათუმის ნოტარიუსთან. 555 3-3

დაიკარგა პასპორტები მიღებული ახალციხის სამმართველოდან. 1. გრიგორ მუთაფინის და ვაიანე მუთაფინის სახელზე. 2. შულაკოტ სააკას ასული ნაზარეტიანცის სახელზე. გაუქმებულია ჩაითვალოს. 572 3-3

გრიგოლ დათას ძე ცირკვაძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი, მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან № 2330. გაუქმებულია ჩაითვალოს. 573 3-3

გრიგოლ მინიხელის ძე ხარაძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა წიგნაკი, მიცემული ტფ. ქალაქის გამგებობისაგან № 3, რომლითაც იღებდა ფულით დახმარებას და წმ. ჯვრის მეოთხე ხარისხის მოწმობა № 156537 გაუქმებულია ჩაითვალოს. 490 3-3

დაიკარგა ნებართვა 415 ვედ. ლენო, მიღებული მომარაგების სამინისტროდან 1920 წ. წ. 6 მარტს მაკარი აბაშიძისა და ბიქტორ ჩიქვილაძის სახელზე. მკონენლს სთხოვენ გაუგზავნონ ზესტაფონში მაკარი აბაშიძეს. წინააღმდეგ შემთხვევაში გაუქმებულია ჩაითვალოს. 534 3-3

ტფ. მაზრის ერობის ტენიკი ნიკოლოზ მინიხელის ძე პაპიძე აცხადებს, რომ მან სამსახურის მოვალეობის ასრულების დროს დაჰკარგა „ბრაუნინგის“ სისტემის რევოლვერი № 49140. მკონენლს სთხოვენ დაუბრუნონ ტფ. მაზრის ერობაში. 565 3-2

ეკატერინა ალექსანდრეს ასული მინდიაშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ატესტატი და მეტრიკული ამონაწერი. გაუქმებულია ჩაითვალოს. 600 3-2

იულია ალექსანდრეს ასული მისლავესკია აცხადებს, რომ მან დაჰკარგა საცხოვრებელი მოწმობა № 1523, მიცემული საქართველოს კონსულის მიერ ქ. ნოვოროსისკში. გაუქმებულია ჩაითვალოს. 601 3-2

დაიკარგა ორი სულის სასურსათო წიგნაკი ივანეს ძე ტაბლაშვილის სახელზე № 2324. გაუქმებულია ჩაითვალოს. 602 3-2

გვირდიელი ირაკლი ონსიმას ძე თევაძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ვინტოვის № 137847 და ნაგანის სის ჯემის რევოლვერის № 3051, ნებართვის მოწმობა № 592, მიღებული პირველ რაიონის გვარდიის შტაბის სამმართველოდან. გაუქმებულია ჩაითვალოს. 560 3-2

მარია მიხეილის ასული სუმბათოვისა აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი, მიღებული ტფ. პოლიციის სამმართველოდან № 453. გაუქმებულია ჩაითვალოს. 563 3-2

ივანე მიხეილის ძე სუმბათოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი მიღებული ქ. პეტროგრადში № 250. გაუქმებულია ჩაითვალოს. 562 3-2

ალექსანდრე გრიგორის ძე მელქემაშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ვაჭრობის ნებართვა № 771, მიღებული ტფ. ქალაქის გამგებობისაგან და ქალაქის კასაში 1500 მან. შეტანის კვიტანცია. გაუქმებულია ჩაითვალოს. 375 3-3

დავით ბოგდანოვის ძე ავან-იუზბაშევა დაჰკარგა გვირგვინის მოწმობა, რომელიც უნდა წარედგინა გვირგვინი საქციხო გამგებობაში, რომელიც დამტკიცებული იყო უფროსი ნოტარიუსისგან ტფილისის ოლქის სასამართლოსი 1910 წ. 15 ოქტომბრის თარიღით № 2306. გაუქმებულია ჩაითვალოს. 576 3-3

დაიკარგა ნასყიდობის სიგელი ხარიტინა მიხეილის ასული ხურდენკოს სახელზე, დამტკიცებული უმცროსი ნოტარიუსი მიტკევიჩთან 1914 წ. გაუქმებულია ჩაითვალოს. 579 3-3

კავკასიის სინოდალური კანტორა თანახმად მისი დადგენილებისა 17 მარტის 1920 წ. № 99 იწვევს მიტროფანე ტიმოფეის ძე ნიკოლაევს სინოდალურ კანტორაში, რომ კვირის განმავლობაში დღიდან ამ განცხადების გახეთში მოთავსებისა, კანტორის მიერ მისა და მის მეუღლის ალექსანდრა ნიკოლაევის განქორწინების შესახებ გამოტანილ დადგენილების ხელის მოსაწყობათ. წინააღმდეგ შემთხვევაში აღნიშნულ ვადაში გამოცხადებლობის გამო, დადგენილება № 99 შესრულებული იქნება. 533 3-2

ალექსი გიორგის ძე დვალიშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი, მიღებული კავკასიის დარაჯთა სამმართველოდან 1917 წ. გაუქმებულია ჩაითვალოს. 597 3-2

არუსიაკ ავეტიკას ასული ტევაზიანი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პირადობის მოწმობა, მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან 1919 წ. № 22832. გაუქმებულია ჩაითვალოს. 598 3-2

ალექსანდრე სერგოს ძე ზურაბაშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი, მიღებული ტფილისის პოლიციის სამმართველოდან № 876. 8 დეკემბერს 1904 წ. გაუქმებულია ჩაითვალოს. 569 3-3

გვირდიელი ლუკა დიმიტრის ძე გუგულაშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა სამსახურის წიგნაკი, მიღებული 1 რაიონის სახალხო გვარდიის შტაბიდან. გაუქმებულია ჩაითვალოს. 574 3-3

ივანე მიხეილის ძე გრეკო აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი, მიღებული მეტერთმეტე უბნის კომისარიატიდან 1319 წ. გაუქმებულია ჩაითვალოს. 561 3-3

სილობისტრო ვიგოს ძე ბუაძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა მუდმივი პასპორტი სოფ. დანიის (ქ. თ. გუბ.) საზოგადოების სამმართველოდან 1912 წელში № 279. გაუქმებულია ჩაითვალოს. 525 3-3

პავლე პეტრეს ძე გავნიძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა სამხედრო ბეგოდან თავისუფლების მოწმობა, მიღებული ტფილისის სამხედრო უფროსისგან 1919 წ. 23 ივნ სში. გაუქმებულია ჩაითვალოს. 567 3-2

ლუკა ვლადიმერის ძე სამხარაძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა მერკურს ორ კლასიანი სასწავლებლის დამთავრების მოწმობა და ატესტატი, მიღებული საჩკრის ე.მ.ლესდაწკებიითი სასწავლებლიდან. გაუქმებულია ჩაითვალოს. 563 3-2

თელავის ელექტრო-მექანიკური ამხანაგობა „ენერჯია“ აცხადებს, რომ ვარლამ გედევანის ძე ფერაქე ზემოთ აღნიშნულ ამხანაგობის წევრთა ალარ იყოყუბა. 571 3-3

ირინე კარის ასული კაპანოვსა აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი, მიღებული ტფ. 1) უბნის კომისარიატიდან 1919 წ. გაუქმებულია ჩაითვალოს. 522 3-3